# სამშობლო

პარასკევი 13 ნოემბერი.

წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 222 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 222

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“

— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

ხუთშაბათს, 12 ნოემბერს, პარასკევს, 13 ნოემბერს, და კვირას, 15 ნოემბერს მხოლოდ 3 დღით ახალი ფართო პროგრამა

ქრონიკა გომონისა. მიმდინარე ამბები.

განსაკუთრებით მხოლოდ მოზრდილთათვის სენსაცია!

ყველას ჩვენ გვწყურია სიყვარული

პიკანტური ფარსი 2 ნაწ., სატახტო ქალაქის არტისტების მონაწილეობით.

მილიონების გიჟნოზის გავლენის ქვეშ.

მე 15 სერია. პერლ ვიტტის მონაწილეობით.

შაბათს, 14 ნოემბერს გაიმართება საქველმოქმედო სეანსები ახალი პროგრამით.

ანონსი: ორშაბათიდან ნაჩვენები იქნება მონა, თანამედროვე დრამა 4 ნაწ.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა „რუსეთი“ („როსსია“), [illegible] სიცოცხლი- [illegible]

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა დავით სიმონის ძე დოლობერიძე.

ექიმი ი. ჩაჩანიძე ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

კბილის ექიმი

მ. მგელაძე—ბალიცკისა

ღებულობს ავათმყოფებს დილის 9 ს.—12 საათ., საღამოთი 4—5 საათამდი. მისამართი: თბილისის ქუჩა, ვლ. წერეთლის სახლში. თ.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თვ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისთვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის ვამზადებ მოწაფეებს, ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.

მისამართი: ივანოვის ქუჩა, ზარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.

პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძისსახლი. თ

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძი-ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.

თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

თავზარდაცემული მეუღლე ბარბალე მაქსიმეს ასული ჭეიშვილისა და შვილები: ოლღა, ნიკოლოზ და ალექსანდრე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორმოცის წირვა და პანაშვიდი

მიხეილ სიმონის ძის ჭეიშვილის

სულის მოსახსენებლათ, დანიშნულია, 14 ნოემბერს, დილის 10 საათზე მთავარანგელოზის ეკლესიაში, ჭავჭავაძის ქუჩაზე

2—1—6002

მეუღლე ელენე (იგივე გოგუცა) მერაბის ასული; შვილები: ნიკოლოზ და ლუბა ცხვიტარიები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი

ნიკოლოზ ზაქარიას ძის ცხვიტარიასი

დანიშნულია 14 ნოემბერს, დღით შაბათს, დ. სამტრედიის რკინის გზის ეკლესიაში.

1—1

[illegible] მხმარებელ საზოგადოების „კოოპერაციის“ გამგეობას სჭირია გამოცდილი და დახელოვნებული მეფურნე საზოგადოების ფურნისთვის, რომელიც ამ მოკლე დღეში უნდა გაიხსნას.

ხელფასი და შრომის პირობანი წესიერი იქნება.

მოლაპარაკება საზოგადოების თავჯდომარის ამხანაგთან საღამოს 5—6 საათამდი, რედაქცია „სამშობლო“, თბილისის ქუჩა, სახლი გოკიელისა, ძმ. ფირალოვების ქარხნის პირდაპირ. 3—3

ქ. ქუთაისში

1 ნოემბრიდან, თბილისის ქ., მ. ქვინიხიძის ქალთა პროგიმნაზიის სადგომში

გაიხსნა როიალზე სწავლების კლასი.

სწავლა სწარმოებს კონსერვატორიის პროგრამით, კვირაში სამჯერ. სწავლის ფასი დაწესებულია კვირეულ სამ გაკვეთილზე თვეში ხუთი მანეთი, რომელიც წინ-დაწინ უნდა, გადახდილ იქნეს. ქალ. თეატრში შემდეგ გაიმართება მოწაფეთა საღამო. ჩაწერა და მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 8—2 საათ. და 4—6 საათამდი იქვე. თ.

გამოცდილი რეპეტიტორი ამზადებს და უსწორებს გაკვეთილებს ყველა კლასის მოსწავლეებს შეღავათიან ფასებში.

მისამართი: „სამშობლოს“ რედაქციაში 6—3—5083

## უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.

**პეტროგრადი.** 11 ნოემბერი. ოფიციალური. დასავლეთის ფრონტი. რიგის ფრონტზე კეგერის დასავლეთ რაიონში გერმანელები ალაგ-ალაგ იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ. გუშინ, დილით, გერმანელებმა იერიში მოიტანეს კუნძულ დალენის სამხრეთ ქიმის წინაალმდეგ და დ. ბერზემიუნდე დაიკავეს, მაგრამ ჩვენმა ჯარმა რეზერვების მიშველებით კონტრ-იერიში მიიტანა მტერზე და ბერზემიუნდე ისევ უკან დაიბრუნა. ამავე დღეს ლატიშელთა ერთერთი რაზმი ეკვეთა მტერს და დიდი გმირობა და ძლევამოსილობა გამოიჩინა. დვინის მარცხენა ნაპირზე ილუქსტის ჩრდილოდასავლეთით ჩვენ ბრძოლით ავიღეთ ფოლვარკი და იანოშელი. დვინსკთან საარტილერიო ბრძოლაა. გერმანელების კონტრიერიში, რომელიც მათ მოიტანეს ჩვენ მიერ ახლად დაკავებულ თხრილების წინაალმდეგ, მოგერებულ იქნა. დანარჩენ ფრონტებზე რიგის ყურედან მდ. პრიპიატამდე სიწყნარეა. მდ. სტირის მარცხენა ნაპირზე პოდჩევიცის რაიონამდი თავგანწირული შეტაკებაა. კოზლინიჩთან ბრძოლა გრძელდება. დანარჩენ ფრონტზე სამხრეთით და გალიციის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

**კავკასიის ფრონტზე** ცვლილება არ მომხდარა.

— —

(დანარჩენი დეპეშები იხილეთ მე 3 გვ.)

## ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

### ჩარტორისკის რაიონი.

სარნიდან და ზდოლბუნოვიდან კიევში მოსული პირები გადმოგვცემენ, რომ უკანასკნელ დღეებში ჩარტორისკის რაიონში საომარი მოქმედება ძლიერ გაძლიერდაო. გერმანელებმა გადასწყვიტეს ესარგებლებიათ დიდ სივრცეზე გამდგარი ხშირი ნისლით და წამოვიდენ იერიშით ჩვენი ფრონტის გასარღვევათ. ნისლმა მოიერიშეებს ძლიერ ცუდი სამსახური გაუწია, რადგანაც იგინი არა თუ მოგერებულ იქნენ, ამავე ნისლით ისარგებლა ჩვენმა ჯარმა და უკან დასახევი გზა გადაუჭრა. ბრძოლა, რომელიც მოხდა ამ ნისლის დროს როგორც მაყურებელნი გადმოგვცემენ, უსასტიკესი ყოფილა. ხმები,—ამავე ბრძოლაში გერმანელების ერთმა რაზმმა მეორე რაზმი ამოსწყვიტა, რადგანაც ჩვენი რაზმი ეგონაო. ხარწო—როვნოს სხვა პუნქტებზეც შეეცადენ გერმანელები იერიშზე გადასვლას, ამბობენ ესევე პირები, მაგრამ სასწრაფოთ მოგერებულ იქნენო. „ბ. ვ.“

### [illegible] ფრონტზე.

მინსკში ფრონტიდან მოსული აფიცერი ამბობს, რომ გერმანელების პოზიციებზე ბულგარელი ოფიცრები გამოჩნდენო. ისინი დანიშნული არიან სამხედრო აგენტებათ ბრძოლის მეთოდების შესასწავლათ და არტილერიის მოქმედებისა და მოწყობილების გასაცნობათ.

### არტილერიის გაძლიერება.

უკანასკნელ დღეებში რიგაზე ყუმბარების დაშენა კვლავ განაახლეს იკსკულის ფრონტიდან.

### გერმანელების ზარალი ბალტიის ზღვაში.

„ფოსისშე ცეიტუნგის“ სამხედრო მიმომხილველი სწერს, რომ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ბალტიის ზღვაში გერმანელებმა დაკარგეს 13 გემი 29,390 ტონ. წყალრწვით.

აღასტურებს რა იმ გარემოებას, რომ ბალტიის ზღვაში მტრის წყალქვეშა ნავების შემდეგ, მდგომარეობა არა გერმანეთის სასარგებლოთ შეიცვალაო, თავს იმით ინუგეშებს მიმომხილველი, რომ ჩრდილოეთ და ხმელთა შუა ზღვაში სამაგიეროთ ავსტრო-გერმანიის წყალ ქვეშებმა მტრის 20 მეტი გემი დალუპესო.

### ბალკანეთი.

„პტი ჟურნ“ სალონიკიდან ატყობინებენ, რომ ბულგარელებმა დიდი სისხლის დაღვრის შემდეგ შესძლეს ბაბუნის ქედის შემოვლა სამხრეთიდან- ამავე დროს იგინი მიიწევენ ჩრდილოეთიდან პრილეპისკენ, რომ შემდეგ იერიში მიიტანონ მონასტირზე. სერბიელების მდგომარეობა კ ჩანიკთან გართულდა, რადგანაც ბულგარელებს უსკიუბიდან მაშველი ჯარი მოუვიდათ. ბულგარეთის ფრონტზე ველესთან ოსმალთა რაზმი გამოჩნდა.

— —

ვარნა მოქალაქეებისაგან დაცარიელებულია. ქალაქი დაიკავა ჯარმა, რომელსაც გერმანელი აფიცრები ხელმძღვანელობენ.

— —

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარიზიდან მოსულ ცნობებით, სალონიკში მივიდენ მონასტირიდან იქაური ელჩების ცოლშვილი და მოხელეები. ბა ბუნთან სერბიელების მიერ პოზიციების დატოვების შემდეგ, მონასტირის მდგომარეობა სერიოზული გახდა. ბულგარები ხმარობენ ყოველ-გვარ ზომას ტეტოვის ხელში ჩასაგდებათ. ორივე მხარეს განუწყვეტლივ მისდის მაშველი ჯარი. სასტიკი ბრძოლა გძელდება.

——

ბულგარეთის სამხედრო მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ ყველა ბულგარელი, ვისაცკი თოფის ხმარება შეუძლია, ომში უნდა გავიდეს. ამ ნაირათ ბულგართა ჯარის რაოდენობა ნახევარ მილიონამდე იქნება.

——

„ჟურნალ დე-ბალკანს“ სალონიკიდან ატყობინებენ, რომ სერბიელების მდგომარეობა მეტად სამძიმო შეიქნაო. ამას სალონიკში მოსული სერბიელები არ მალვენ და ამბობენ, რომ ბულგარლები დიდ სიმკაცრეს იჩენენ სერბიელებისადმიო. მცხოვრებლები ძლიერ დაშინებული არიან და სოფლეიდან გარბიან. თან მიაქვთ, რაც უსაჭიროესია, და ნარჩენს კი ცეცხლს უკიდებენო. ბევრი სოფელი გადაიწვა. გადმოხვეწილთა მდგომარეობა კალმით აუწერელიაო.

„რუს. სლოვ“-ო იტყობინება, რომ ინგლისის ნოტამ საბერძნეთის მთავრობაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინაო. მოკავშირეთა ფლოტი შეუდგა ეგეისა და ხმელეთ შუა ზღვაში გემების გაშინჯვას.

——

ამავე გაზეთს ატყობინებენ, რომ, დილონის მტკიცებით, უკანასკნელი პასუხი მეფე კონსტანტინესი ინგლისის ნოტაზე საკეთილო არ არისო. ვილჰელმს წინანდელებურათ დიდი გავლენა აქვს კონსტანტინეზე.

——

„ბირჟ. ვედ“. რომიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ პრემიერ სალანდრის გადაწყვეტილებას ხალხი და პრესა დიდი აღფრთოვანებით შეხვდაო. ეს გადაწყვეტილება შეეხება ბალკანეთის ოპერაციებში იტალიის მიერ მონაწილეობის მი... ...სიმები გადავაბი რომ იტალიის ფლოტი საბერძნეთის ...სანაპიროებზე საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მონაწილეობას მიიღებს. ფლოტი ნაწილმა უკვე მიიღო ბრძანება გასამგზავრებლათ. იტალიის ფლოტი ინგლისს-საფრანგეთის ფლოტს შეუერთდება საბერძნეთის წყლებში და მოუცდიან მოკავშირეთა საერთო გადაწყვეტილებას ზომების მისაღებათ.

„რუსკია ვედ“. ატყობინებენ, რომ სერბიელების გმირმა ველესთან ბრძოლის დროს უადრეს წერტილს აღწევდაო. ამ ჟამათ ველესი ბულგარლების ხელშია.

——

ამ გაზეთის დეპეშით ატყობინებენ, რომ სერბიელებმა ისევ წაიწიეს პრილეპისაკენ. ბულგარელები იძულებული იყვნენ მონასტირზე იერიშის მიტანა შეეჩერებიათ.

——

კოპენჰაგენიდან დეპეშით იტყობინებიან: რომიდან ცნობაა, რომ იტალიამ საბოლოოთ გადასწყვიტა ჯარი გადასხას ვალონში, დურაცოსსა და სან—ჯიოვან—დი—მედუაში.

## ქრონიკა

რუსეთი.

### საქმე ნაფიცი ვექილის მიკლაშევსკისა.

პეტერბურგის საოლქო სასამართლოს 5 ნოემბრის სხდომაზე გაირჩა საქმე ნაფ. ვექ. მიკლაშევსკისა. მას ბრალდებოდა ორიგინალური პოდლოგი. იმისთვის, რომ გაეგძელებია აპელიაციის ვადა თავისი კლიენტის საქმის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებას შემდეგ, მან მიღებულ „პოვესტკაში“ რიცხვი „27“ (აგვისტო) გადააკეთა „29“ რიცხვათ იმავე თვის და შესაფერი „გადასწორება“ მოახდინა მან საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების დედანშიაც საოლქო სასამართლოს კანცელიარიაში საქმის გადათვალიერების დროს.

მიკლაშევსკის საქმის გარჩევას დაესწრნენ ნაფიცი მსაჯულები. ბრალდებულს იცავდა ნაფ. ვექ. ნ. პ. კარაბჩევსკი. მიკლაშევსკი გაამართლეს.

### რიგა.

„გაზეთების“ სიტყვით კიდევ გამოჩნდენ გადმოხვეწილნი კურლიანიიდან და დვინის ახლო-მახლო რაიონებიდან. გამოქცეულების უმრავლესობა რიგაში დასადგომ ბინას ვერ შოულობს. მიუხედავათ იმისა, რომ ცარიელი შენობები ბევრია.

ქალაქში ბევრი ტყვე მოჰყავთ და ... ... ყოველი ბატალიონის მილიციონერი თავის მოვალეობათ სთვლის ჩამოიყვანოს თავის მიერ დატყვევებული ერთი გერმანელი მაინც.

ხელ მეორეთ გამოიცა განკარგულება რკინის გზაში მოსამსახურეთა იმ ოჯახების ევაკუაციის შესახებ, რომელნიც ჯერ ისევ რიგაში იმყოფებიან.

## ლენსდოუნის სიტყვა.

ლორდთა პალატაში ლორდ რიბლდეილმა მთავრობას შეკითხვით მიმართა,—აქვს თუ არა მას საშუალება გვამცნოს ბალკანეთის ფრონტზე საომარ ოპერაციების შესახებ რაიმე წარმატება და ან რა პოლიტიკას ადგია ახლო აღმოსავლეთში. შემდეგ შეეკითხა,—ეთანხმება თუ არა სინამდვილეს გავრცელებული ხმა, რომ სერ ჩარლზ მონრომ წარუდგინა მოხსენება დარდანელიდან ჯარის გაწვევის შესახებო?

ლენსდოუნმა უარი სთქვა პირდაპირი პასუხის მიცემაზე ამ კითხვებზე ამ მომენტში, აღნიშნა რა, რომ ასეთი პასუხი უნდა გულისხმობდეს სერბიის დღევანდელ მდგომარეობას, რომელიც დღითი დღე ირყევა და აგრეთვე ამ პასუხშივე შედის საბერძნეთის პოზიციის გამორკვევაც, რომელიც უკიდურეს ამოცანას წარმოადგენს და ფრიად ამაღელვებელიაო. ამავე კითხვაში შედის გალიპოლის კუნძულის ამბები და ეგვიპტის მდგომარეობაო, და ყველა ეს კითხვა შეუძლებელია განმარტებულ იქნას ცალცალკე, რადგანაც მათ კავშირი აქვთ საერთოდ მთელს ბრძოლის ველის მდგომარეობასთან.

რაც შეეხება მონროს მოხსენების ლენსდოუნმა უპასუხა: როგორც თვით მოხსენება, ისე მასში მოყვანილი მოტივები, იმდენათ მცირეა, რომ რისამე დასკვნის გამოყვანა შეუძლებელიაო. ამიტომ კიტჩენერს მინდობილი აქვს დაათვალიეროს ხმელთა შუა ზღვა და გაეცნოს იქაურ მდგომარეობას.

შემდეგ ლენსდოუნმა აღნიშნა ხაზგასმით პარიზში მომხდარი სამხედრო თათბირის სიდიადე და გაიმეორა ასკვიტის განცხადება სერბიის დამოუკიდებლობის შესახებ. შეეხო რა კორტნეის სიტყვას ლენსდოუნმა განაცხადა, რომ დღევანდელ მომენტში ყოვლად შეუძლებელია ვინმემ განიხილოს ზავის შესახები საკითხი (მოწონება). ინგლისი,—სთქვა მან, იძულებული იყო ომი დაეწყო და ამ ჟამათ იგი არც მატერიალური რესურსებისა და არც სულის სიძლიერის ნაკლებობას არ განიცდის და კიდევაც შესძლებს ბრძოლა ბოლომდი მიიყვანოს და წარმატებით დაავირგვინოსო.

### სამგლოვიარო წერილი.

... დამცემი ამბავი გვაუწყა „თანამედროვე აზრმა“ მეშათათვის თავდადებულ მუშაკის მეორე სახლობ. სათათბიროს დეპუტატ ჭოლო ლომთათიძის გარდაცვალება. ჩვენც სხვა მუშებთან ერთად ვგლოვობთ და ვსტირით მის გაცივებულ გვამს.

ტყიბულის ქვა-ნახშირის მუშათა მონდობილობით იონა ობოლაძე—კალ. კაკულია ვარ. დარსაძე.

## ახალი ამბავი.

ქუთაისი.

დღეს, სად. 8 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდება ქალაქის საბჭოს იურიდიული კომისიის კრება.

✦ ახალი გაზეთი. ქუთაისის გუბერნატორის წინაშე ს. ი. ლეკიშვილმა შუამდგომლობა აღძრა გამოსცეს ქუთაისში ქართულ ენაზე ორ კვირეული გაზეთი სახელათ „კომმერცია“.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ქუთაისის მაზრის უფროსს მოსთხოვა ანგარიშები თუ რამდენი დაიხარჯა დახმარების სახით სამაზრო სამკარეველოს მოსამსახურეებზე, უკანასკნელ 9 თვის განმავლობაში.

✦ წერა კითხვის საზოგადოების კრებას, რომელიც დღეს უნდა მომხდარიყო სხვა და სხვა მიზეზების გამო, აღარ შედგება.

✦ ქუთაისის საგუბერნიო საერობო აგრონომმა ქ. ბათომის საგუბერნიო საწყობიდან გამოიწერა გუთნები სადემო მინდვრების დასამუშავებლათ.

✦ სვანეთის სახალხო მასწავლებლებმა შუამდგომლობა აღძრეს მთავრობის წინაშე, რომ მთავრობამ ყურადღება მიაქციოს სვანეთის მხარეს, რადგანაც მეურნეობა სვანეთში დიდათ ჩამორჩენილია.

✦ ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსის ადგილზე დაინიშნა იმავე განყოფილების უფროსის თანაშემწე ა. გ. კვიშელი.

✦ კავკასიის უმაღლეს მთავრობის განკარგულებით ქუთაისის საგუბერნიო აგრანომი ბ-ნი კ. პ. დანილევსკი, ახლო მომავალში გაემგზავრება რუსის ჯარის მიერ დაკავებულ ოსმალეთის ადგილებში სამეურნეო საქმეების გასაცნობათ, მოსაწესრიგებლათ და ხარჯ აღრიცხვის ნშესადგენათ.

✦ გ. ტაბიძის და გ. ქუჩიშვილის გამართულ საღამოს დ. ყვირილაში დიდძალი საზოგადოება დაესწრო. საღამო შემდეგ დ. ყვირილის მოწინავე საზოგადოებამ ახალგაზდა მწერლებს ნადიმი გაუმართა რომელზედაც გრძნობიერი სიტყვები იქნა წარმოთქმული.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ... მანათით დაჯა... ...რთველათ ტარებისთვის შემდეგი პირნი: პროკოფი მარგოშია, იროდიონ ჩიქოვანი (ზუგ. მაზ.) ვალერიან ლაპლაპია ილიკო ფადავა, რიჩა შარვაშიძე, სერგო შორეზია (სენაკის მაზრა) მიხეილ შენგელია. და 15 მან. სასტუმრო „როსტოვის“ გამგე ვლადიმერ სალანიკოვი.

✦ 14 ნოემბერს დაბა ხონში და 15 ნოემბერს ს. ზანძაში ... დრავა წაიკითხავს ლექციას ...

✦ რედაქციამ მიიღო სექტემბრისა და ოქტომბრის ნომრები ჟურნალ „ჯეჯილისა“ შემდეგის შინაარსით.

1) ძუძუ გვაჭამე, დედიკო! სურათი.

2) საჩუქარი (ჩვენს ბავშვებს) გ. დ. ჰრელაშვილისა.

3) ზამთარი გვიდგება.

4) თედოს ფინია. ფრანგულით.

5) მამა ომში წაიყვანეს. ლექსი ა. კაპანისა.

6) კურდღლის ოჯახი ამბავი (გაგრძელება შემდეგი) გ. დ. ჰრელაშვილისა.

7) გველი და ქლიბი. (იგავ-არაკი ეზოპიდან) ი. სიხარულიძისა.

8) როგორ კეთდება ჰოლანდიის ყველი. კუდრაპასი.

9) მელიას ოინები. ზღაპარი თარგმანი ეკ. მესხისა.

10) წვრილმანი: გამოცანები, შარადა, ჩქარა სათქმელი, რებუსი და სხვა.

11) ობოლო. ლექსი ლადო გეგეჭკორისა.

12 ვაიმე, ბუზიკო! ცქვიტისა.

13) ჩვენი სამშობლოს კუთხე აჭარა. ა. წულაძისა.

14) ომი. ბიძია ჟორჟის ნაამბობი. (შემდეგი იქნება.) თარგმანი ეკ. მესხისა.

——

### სოფლათ

— როგორც გვატყობინებენ, ამ ჟამათ დ. ყვირილაში პურის ფქვილი სრულიად აღარ იშოვება. საზოგადოება დიდ გაჭივრებას განიცდის.

### თეატრის ქრონიკა.

ფოთი. „ქართული დრამის“ გასტროლები. დღეს 13 ნოემბერს ფოთის თეატრ „კომეტაში“ წარმოდგენილი იქნება ვ. სარდუს ცნობილი პიესა „ნაპოლეონის“ ცხოვრებიდან „მადამ სანჟენ“ უმთავრესი როლები დასის საუკეთესო ძალთა შორის არის განაწილებული.

——

ხვალ, შაბათს, მითრი და ... — ღამის — 2 ს. ...შვილის ცნობილი ისტორიული პიესა „ღალატი.“ მთავარი როლები ასეა განაწილებული: ეფ. მესხი—„ზეინაბ“, მ. მდივანი—„რუქია“, შ. დადიანი—„სოლეიმანხან“ ზარდალიშვილი—„ერეკლე“, კორიშელი—„ანანია“, მურუსიძე—„დათო“, ყალაბეგიშვილი „ოთარ-ბეგი.“—

## ცხოვრების ნაწყვეტი.

(მოთხრობა).

(დასასრული იხ. „სამშობლო“ № 221).

* * *

დილაა... რეზიკო მკლავებზე თავ-დაყრდნობილი, ღრმად ჩაფიქრებული მაგიდასთან იჯდა და რვეულს ჩასცქეროდა.

ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ რეზიკომ კალამი გადააგდო და ოთახში სიარული დაიწყო.

— წერაც კი აღარ შემიძლიან! აზრები ისე არიან მიმობნეული ჩემს გონებაში, ვით ღრუბლები ცაზე ქარიშხლის შემდეგ. ძალაც აღარ მაქვს მუშაობისა. ფიზიკურად და გონებრივათაც დაუძლურებული ვარ. სული მეხუთება. გონება მერევა. არ ვიცი რა ვქნა! რა ჩავიდინო? ვის მივმართო? ვის რა შევჩივლო? ვის გავუზიარო ჩემი ნაღველი, ჩემი ვაება? გული ისე სწრაფად სძგერს, თითქოს საგულედან გადმოვარდნას აპირებსო.

ეხლა ვინ იცის, თუ რას გადაწყვეტენ პედაგოგთა ბჭობაზე: იქნებ სრულებით დამითხოვონ სასწავლებლიდან?! მაშინ რა ვქნა? რა პასუხი გავცე ჩემს მშობლებს? როგორ დავუმტკიცო ჩემი სიმართლე?! ნაღვლიანათ წარმოსთქვა ზალიკომ და ლოგინზე პირქვე დაემხო. ამ მდგომარეობაში იყო რამდენიმე წუთს. მერე უცბათ წამოდგა და დაიყვირა:

— არა, ეს სილაჩრეა! შორს ჩემგან, სინანულის შავო ცრემლებო! რაც იქნება იყოს!

——

— გამარჯობა რეზიკო! შემოსვლისათანავე მიესალმა ახალგაზრდა გიმნაზიელი—ლეო.

— შენა ლეო!? ახალი რა იცი?

— ახალი ის ვიცი, რომ მთელი მოწაფეობა ჩვენს მხარეზეა. ამბობენ: თუ ერთი მოწაფეთაგანი მაინც დაითხოვეს, ჩვენ იმ წამსვე სასწავლებელს დავტოვებთო. როგორ მოგწონს, რეზიკო, ასეთი ამხანაგობა?! როდესაც ვიგონებ შენგან წარმოთქმულ სიტყვებს, შენს გამბედაობას უფროსების მრისხანების წინაშე, გული სიამოვნებით მევსება.

— ერთიც ვნახოთ, ლეო,—მწუხარე ხმით მიუბრუნდა რეზიკო ლეოს, ამ შემთხვევის მიზეზი მხოლოდ მე შევიქნე და გიმნაზიიდან სამუდამოთ დამითხოვონ, მაშინ თქვენ, ჩემი ამხანაგები, როგორ მოიქცევით?

— აკი გითხარი, მაშინ ჩვენც შენთან ერთად დავტოვებთ სასწავლებელს.

— მერე, ხომ ყველანი დაიღუპებით?

— მერე რა ვუყოთ! შენ შენი მოქმედებით დაიმსახურე ისეთი პატივისცემა... შენ, შენი გმირული თავგანწირვისათვის ღირსი ხარ ყოველგვარი პატივის ცემისა...

— მე კი.—ნელის, ნაღვლიანის ხმით დაიწყო რეზიკომ, ჩემს მოქმედებაში არავითარ თავგანწირვას არა ვხედავ. ყოველი ჩვენთაგანი ზნეობრივად მოვალე იყო ჩემებრ ემოქმედნა...

ყური დამიგდე და კარგათ გამიგონე, ლეო, მთელი ოთხი წელიწადია, რაც საშინელ ტანჯვას განვიცდი, როდესაც უდანაშაულოთ დასჯილ მოწაფეს ვხედავდი...

ათასი ფიქრი მიტრიალებდენ თავში. მრავალი შავი და ბნელი საკითხი არ მშორდებოდა. ხშირად ისე გამიტაცებდა ხოლმე ოცნება, რომ ხილული ქვეყანა, მსოფლიო, ჯოჯოხეთად მეჩვენებოდა, სადაც უსამართლობას, გაცემას, შუღლს, მტრობას, ღალატს ბოლო არ აქვს.

ეს, ჩემო მეგობარო, რაც მე მიგრძვნია და განმიცდია, არავინ უწყის. ჩემი გულის ტკივილს არავინ მიმხვდარა. ჩემი ობოლი სულის ამოძახილის შინაარსს არავინ მიმხვდარა...

მუდამ იმის ფიქრში ვიყავი: ნეტა როდის დადგება ის სასურველი წამი, როს ნათელვყო ჩემი გულის დარდები და სავსებით განვთავისუფლდე ღრმათ დაგუბებულ ნაღველისაგან მეთქი.

— და სწორედ ეს სასურველი დღე იყო შენთვის გუშინწინდელი დღე.

— შეიძლება!

— მართლა, ეხლა მომაგონდა, იცი რა გითხრა, შესაძლოა მამა შენი დღეს აქ ჩამოვიდეს...

— როგორ? განა იმან იცის რამე?

— გიმნაზიიდან ბარათი გაუგზავნიათ. და დღეს თორმეტ საათზე იბარებენ.

— ღმერთო, ღმერთო...

— ნუ გეშინიან, როცა მამა შენი საქმის გარემოებას, მაშინ ისიც, რასაკვირველია, შევა ჩვენს მდგომარეობაში და ამ რიგათ ყველაფერი სურვილისამებრ დასრულდება.

— ჩემო ლეო! შენის სიტყვით სიხარულის შუქი მოჰფინე ჩემს ტანჯულ გულს.

— ჩუ! რა ხმა ისმის? ეს სწორედ ჩვენები არიან, სთქვა ლეომ და სიტყვის დათავებაც ვერ მოასწრო, რომ რამდენიმე გიმნაზიელი შემოვიდა.

— მეამბოხეს გაუმარჯოს! შესძახეს მათ რეზიკოს.

— თქვენც გაგიმარჯოთ, ამხანაგებო! აი ეს ეს არის მე და ლეო თქვენთან მოვდიოდით...

— მაშ წამოდით... წამოდით საქეიფოთ! დაიყვირა ერთმა მოწაფეთაგანმა და ყველანი გაიპარნენ.

* * *

ლეო არ სცდებოდა. მართლაც რამდენიმე საათის შემდეგ რეზიკოს ოთახში შემოვიდენ მისი გაფითრებული მშობლები და დანაღვლიანებული და—ელენე.

— აი, ეს გახლავთ თქვენი შვილის ოთახი, ეუბნებოდა მათი მოსამსახურე გოგო.

— თვითონ სად არის? წარბებ შეკმუხნული შეეკითხა ზალიკო მსახურს.

— არ ვიცი, ბატონო! ალბათ ამხანაგთან წავიდოდა!

— თუ იცი, დიდ ხანს დაიგვიანდება?

— არც ვიცი.

— კარგი. შეგიძლია წახვიდე, ჩვენ აქ დაუცდით.

— თუ მოცდას ინებებთ, მაშინ სასტუმრო ოთახში მობრძანდით, ბატონებო.

— არაფერია, აქაც არა გვიშავს რა! დაღვრემილად უპასუხა ზალიკამ.

— თქვენი ნებაა. მორჩილების ხმით სთქვა გოგომ და გავიდა.

ოთახში ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი მწუხარეთ გამოიყურებოდენ. საბრალო ელენე ფანჯარასთან იდგა და გაფითრებული, იდუმალებით მოცული, ვეღარ ბედავდა მამისათვის შეეხედნა... მოხუცი ნინო რეზიკოს საწოლზე იჯდა, არას ამბობდა, თითქოს ენა ჩავარდნიაო... ზალიკას სახეზე ხან მრისხანება იხატებოდა და ხან საშინელი ნაღვლიანობა...

* * *

რეზიკო შეკრთა როცა სახლში შემოვიდა და თავისი დედა-მამა კი დაინახა.

— მამა... დედა... ძლივ-ძლივ წამოიძახა რეზიკომ.

— რაო? რა სთქვი? გააწყვეტინა შვილს სიტყვას ზალიკამ—მე რომ შენი მამა ვყოფილიყავ და შენც რომ ამის შეგნება გქონოდა, მაშინ შეიბრალებდი შენს მშობლებს, შეიბრალებდი აი ამ ქალარს და მშობლიურ სიყვარულს, პატივისცემას, ფეხით არ გასთელამდი!..

— რად მეუბნები ასეთ სიტყვებს, მამა ჩემო? ნაღვლიანის ხმით შეეკითხა მამას რეზიკო.

— იმიტომ გეუბნები, რომ—უფრო ხმა ამაღლებით დაიწყო ზალიკამ—შენ შენის მოქმედებით, ბუნტოვჩიკობით, მე, მოხუც ადამიანს, რამოდენიმე წლის სიცოცხლე მომისპე, მომიწამლე, ისეთ მამას, რომელიც მუდამ შენს მზეს ლოცულობდა, რომელმაც შენ შეგწირა თავისი სიცოცხლე, თავისი ძალღონე. შენ არ შეიბრალე მოხუცი დედმამა... შენ დაჰგმე მშობლიური სიყვარული...

— ზალიკა, კარგია, კმარა!.. გაუბედავათ სთქვა ნინომ.

— ნინო, შესძახა ანთებულმა ზალიკამ გთხოვთ ჩემს საქმეში ნუ ერევი!.. რათა შვილო? მიუბრუნდა ისევ შვილს—რით დავიმსახურეთ ჩვენ ასეთი პატივისცემა? ღმერთია მოწმე რომ შენთვის არაფერი დაგვიკლია.

შენ გსურს ჩვენც დავიღუპოთ და შენი თავიც დაიღუპო. რათა? რისთვის? რა არის მიზეზი, რომ ეგრე სჯი შენს მოხუც მშობლებს?! ღმერთი არ იცი? ადამიანი არა ხარ? გული არა გაქვს? სიბრალულის გრძნობა შენში არ არსებობს?

— ზალიკა, კმარა შენი ჭირიმე, მუდარით მიჰმართა ნინომ.

— ჩემს საქმეში ნუ ერევი. მეთქი!—და უყვირა ზალიკამ და განაგრძო:

— მე ვხედავ ჩემს უბედურებას! მე ვგმობ, ვწყევლი, ვკრულავ ყველა იმას, ვინც ჩემს პატივისცემას მიწაში მარხავს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეტი ყურადღება,

საქართველო და კერძოთ-კი ქუთაისის გუბერნია—სამეურნეო ქვეყანაა. აქაური მკვიდრი უმთავრესად მეურნეობით ირჩენს თავს, მეურნეობით ისტუმრებს ბერს, მღვდელს, სახელმწიფოს და სხვა მრავალ ცხოვრების—მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებებს.—უკანასკნელი წლების გართულებულმა ცხოვრებამ სისტემატიური მოუსავლობის ზედ-დამატებით—ყველასათვის ვისაც თვალთა ხედვა აქვს და ყურთა სმენა ნათელყო, რომ ძველი მამაპაპური წესით მიწის დამუშავება სრულიად არ არის შესაბამი და დამაკმაყოფილებელი დღევანდელ გართულებული ცხოვრების ათასგვარ მოთხოვნილებათა. თუ ოდესმე მეურნეობა ჩვენში ჩვენი მოღვაწეების და პრესის ყურადღებას იქცევდა, მომეტებულათ ის დღეს—ამ სისტემატიური მოუსავლობის და საერთო ნივთიერი ჩამოქვეითების დროს მეტი მსჯელობისა და ყურადღების საგნათ გახდა. ხალხი ახმაურდა და მოითხოვა სოფელში სამეურნეო ცოდნის შეტანა. მსჯელობენ მეურნეობაზე, სხვადასხვა კრებებს, ხალხთან მჭიდროთ მდგომთ სხვა და დადგენილებები გამოაქვთ გაუმჯობესებული წესით მიწის დამუშავების მიუცილებელ საჭიროების შესახებ. აქა—იქ ხალხის მოჭირნახულენი უკვე სათანადო გეგმით (მაგალითად ლანჩხუთში) გამოვიდენ და თადარიგს შეუდგენ თავიანთ სოფლებში პრაქტიკული სამეურნეო სკოლების დაარსებლათ,—ნივთიერად დაქვეითებამ, სილატაკემ, შიმშილმა დღეს ჯეროვანი და განსაკუთრებითი ყურადღება მიიპყრო მიწისკენ.—მიწის მუშისათვის გაუმჯობესებული წესით მიწის დამუშავება არსებითი კითხვათ გადიქცა. თუ აქამდე მიწის მუშამ მარტო იცოდა, რომ არის „დოხტური" ციების, ცხელების ანთების ამ უკანასკნელ წლებში ისიც გაიგო, რომ არის მიწის, ვენახის და აბრეშუმის „დოხტური." მიწის აბრეშუმის და ვენახის „დოხტური" დღეს მიწის მუშა გლეხისათვის ციების, ცხელების და ანთების [illegible] გახდა.—ყველა გზა-ჯვარედინზე [illegible] აგრანომს დაეძებს მისგან მოელის ხსნას, შველას და როდესაც ასეთს ვერ ნახულობს ის ხმა მაღლა ყვირის: „გვეუბნებიან, რომ ჩვენ თითქო მთავრობამ მიწის „დოხტურები" დაგვინიშნა, მარა ჩვენდა საუბედუროთ დღე შუღამ ვეძებთ ამ მთავრობის დანიშნულ „დოხტურებს" და მათ ვერსად ვპოულობთო." ზოგიერთები სამეურნეო ცოდნის მოწყურებული მიწის მუშის გულისხმიან ამოხეთქილ სიტყვებს ქუთაისის გუბერნიაში მომქმედ აგრანომების უმოქმედობით ხსნიან, მარა ეს თუ რამოდენიმე შემთხვევაში მართალია,—უმეტეს შემთხვევაში ეს ასე არ არის—ვერავინ უსაყვედურებს უმოქმედობას აგრანომ კ. ბერეკაშვილს, ი. გ. ქუთათელაძეს, აგრეთვე საერობო აგრანომების ორგანიზაციას, რომლის ხელმძღვანელი ბ-ი კ. პ. დანილევსკი თავგამოდებით მუშაობს თავისი ხელქვეით აგრანომების ასამუშავებლათ, მარა რა ქნან რიცხვი ამ სწავლული აგრანომების ძალზე მცირეა.—ქუთაისის მთელ მაზრაში ერთი აგრანომია თავადი ფალავანდიშვილი, და ერთი ინსტრუკტორი ბ. ვ. კანდელაკი, ოზურგეთის მაზრაში მხოლოდ ერთი აგრანომია ბ. ი. პერმანი, ორ მაზრაში სენაკის და ზუგდიდისაში ერთი აგრანომია—ბ. ბოლდანოვი, აგრეთვე ლეჩხუმის და რაჭის მაზრაშიც ერთი აგრანომია ბ. პანასევიჩი და ერთი ინსტრუკტორი ბ. ციმაკურიძე, შორაპნის მაზრაში ერთი აგრანომი ბ. რ. გედევანიშვილი და ერთი ინსტრუკტორი ბ. ჯაფარიძე—აი, ეს არის საერობო ორგანიზაციის აგრანომები და ნუ თუ აქ გაუკვირდება ვინმეს ის, რომ რამოდენიმე ასეულ ვერსტზე გაჭიმულ თითეულ, ან ორ მაზრაში ვერ ნახა გლეხმა მიწის „დოხტური" და მიწის „დოხტურსათ" გაუჭირდა მიწვდეს იმ გლეხს, რომელიც მის დახმარებას ცისაგან მოვლინებულ მანანასავით ელის.—საჭიროა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს: ხალხში, ხალხის მოთხოვნილება გართულდა და ადამის ნაანდერძები სახნისით მოხნილმა მიწამ ვერ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნილება, სისტემატიურმა მოუსავლობამ წელში გასტეხა ხალხი, ის თხოულობს გაუმჯობესებული წესით მიწის დამუშავების ცოდნას სილატაკიდან თავის დასაღწევათ, ამ ცოდნის მოსაფენათ-კი არ კმარა ის მცირე ჯგუფი სპეციალური ცოდნით აღჭურვილი აგრანომების, რომლებიც მხოლოდ დღეს მოღვაწეობენ ქუთაისის გუბერნიაში. მეტი ყურადღება და მეტი დახმარებაა საჭირო რამოდენიმე წლების მოუსავლობით წელში გატეხილ, აფორიაქებულ, [illegible] განადგურებულ და გაჩანაგებულ მიწის მუშათათვის და [illegible]

**ილია ბახტაძე.**

# თეატრი და ხელოვნება. დაბა საჩხერე.

პირადი შთაბეჭდილებანი.

კვირას, 8 ნოემბერს, დაბა საჩხერეში, დათიკო აბდუშელის რეჟისსორობით და ადგილობრივი ინტელიგენციის დახმარებით გაიმართა წარმოდგენა დ. აბდუშელის საბენეფისოთ. დადგეს ავქ. ენტი ცაგარლის ცნობილი პიესა „ციმბირელი". მონაწილეობდენ ქ-ნნი: ელპიდა იაკობაშვილი, ცუცა წერეთელი, ანეტა იურკევიჩი, ვერა წერეთელი.

ბ-ნნი: დ. აბდუშელი, პეტრიაშვილი, პოლ. კინწურაშვილი, სიმ. გაჩეჩილაძე, ვანელი და ვლადიმ ვეშაპიძე. ხალხი ძალიან ბევრი დაესწრო: დაწყებული ადგილობრივ თავად-აზნაურობიდან ვიდრე უკანასკნელ გლეხ—კაცამდე.

ელპიდა იაკობიშვილი ზედგამოჭრილი მოსამსახურე იყო: მისი კისკისა ხმა და როლის შესაფერი მიხვრა-მოხვრა, სიცოცხლეს აძლევდა პიესის მსვლელობას.

ცუცა წერეთელს „ნარგიზას" როლში არა უშავდა რა, თუმცა ცოტა გაუბედავათ ეჭირა თავი და ედთი ერთი-იგივე ადგილს არ შორდებოდა. ბ-ნი ვანელი ვექილის როლში კარგი იყო: სავსებით დახატა უგრძნობელი და მჩატე ადამიანი.

ვეშაპიძე სომხის როლში არ იყო ურიგო, მაგრამ არც ტანთსაცმელი ჰქონდა შესაფერი და არც გრიმი.

სხვის ხარჯით გამდიდრებულ „მაზუთიანს" ისევ ნოქარის ტანისამოსი ეცვა, რაც მოგვაგონებდა მართლა ბატონის მოშიშარ ნოქარს და არა მდიდ—ახნილ ვაჭარს. მაგრამ ეს არც რეჟისსორის და არც მსახიობის შეცდომათ არ ჩაითვლება, ვინაიდან ვიცით, რომ საჩხერის სცენას აკლია უსაჭიროესი ხელსაწყოც კი. ეს კი იმას ამტკიცებს, რომ ადგილობრივი მკვიდრნი—ქართველ-სომეხ-ებრაელნი, რომელთაც სხვა დაბებში მცხოვრებლებთან შედარებით უკეთესი ქონება აქვთ,—ნაკლებ ყურადღებას აქცევენ თეატრს...

კარგი იქნება შემდეგში მაინც შეუწყონ ხელი ამ კულტურულ და ფრიად საჭირო დაწესებულებას.

ანეტა იურკევიჩი (დედა), დ. აბდუშელი (პეტუა), ბ-ნი პეტრიაშვილი (სტეფანე), შეუდარებლათ ასრულებდენ თავიანთ როლებს და საზოგადოებაც განცვიფრებაში მოჰყავდათ. პოლიკარპე კინწურაშვილი (ციმბირელის როლში), კარგას, მხოლოთ მეოთხე მოქმედებაში ისუსტა. რაც შეეხება ვერა წერეთელს და სიმ. გაჩეჩილაძეს ვიტყვი, რომ არც ისინი უშლიდენ ხელს პიესის მსვლელობას, მიუხედავათ იმისა რომ საჭირო შემზადება აკლდათ მათ. მე-4 მოქმედების შემდეგ დ. აბდუშელს, როგორც საპატიო დამფუძნებელს და თანამშრომელს ადგილობრივი თეატრისა, გრძნობიარე სიტყვა უთხრა ადგილობრივი ინტელიგენციის სახელით ქ-ნმა ანეტა იურკევიჩმა და უსურვა მას ყოველ ხიფათისაგან გადარჩენა ხალხის საკეთილდღეოთ. სიტყვას შემდეგ ნიშნათ სიყვარულისა მიართვა ბენეფიციანტს ფულიანი პაკეტი. წარმოდგენამ საზოგადოთ კარგათ ჩაიარა, თუმცა ყველა იქაური ინტელიგენტების ერთად წესრიგის დაცვამ, ისედაც მოუწყობელ შენობაში, და სუფლიორის ხმამაღლა ყვირილმა, საერთო შთაბეჭდილება და მთლიანობა დაუკარგა მას.

ბევრი რამ აკლია იქაურ თეატრს და ამისთვის სასურველია ისეთი რეცენზენტი მოიწვიონ დამფუძნებლებმა, რომელსაც მართლაც კარგათ ეცოდინება თეატრის საქმე და იქნება არა მარტო გამკიცხავი რეცენზენტი, არამედ ნამდვილი მასწავლებელი მსახიობებისა მათ ნაკლულევანებ.-ღირსებებში. საჩხერეს, ისედაც ტურფა საჩხერეს, ისეთი რეცენზენტები შეეფერება, რომელნიც ობიექტიურათ შეხედავენ თეატრალურ საქმეს და მსახიობებს (რაც სასურველია ახლად გაჩაღებული საქმის წარმატებისათვის) და არა გაიხსენებენ უბრალო წალაპარაკებას რომელიმე მსახიობთან და რეცენზიით საზოგადოებაში ჯავრს ამოიყრიან მაზე. ასეთი შემთხვევა კიდევაც მომხდარა თურმე საჩხერეში, მაგრამ საზოგადოების წინაშე უდანაშაულოთ დასჯილს სცენის მოყვარე ქალს, ძალიან ადვილათ აიტანია ეს შეურაცხყოფა და მისი მანუგეშებელნი, ყველა რედაქციებში სხვადასხვა ფსევდონიმით მოსიარულე რეცენზენტზე ამ საქმის უფრო კარგათ მცოდნეები გამოჩენილან.

ამითი დიდ შეცდომას იდენს ასეთი რეცენზენტი: 1) უმიზეზოთ აძულებს სცენას სცენის მოყვარეს, (იქ ერთის მეტი ყველა სცენის მოყვარეა), 2) ბღალავს თვით თეატრს და 3) თავის თავსაც აწვრილმანებს.

ანტრაქტებში უკრავდა ადგილობრივი სიმებიანი ორკესტრი. ხალხი ძრიელ ნასიამოვნები დარჩა. შემოსავალიც კარგი იყო.

ვუსურვებ კარგ [illegible], სწორ რეცენზენტს, მტკიცე ხელმძღვანელთ და აყვავებას ახლად გაფურჩქვნილ კულტურულ საქმეს!... **X.**

# „ფორვერტსი" ომზე და ზავზე.

გერმანიის სოციალდემოკრატიის ცენტრალური ორგანო „ფორვერტსი" განაგრძობს ზავის სასარგებლო აგიტაციას. 5 ნოემბრის (ახ. სტილით) ნომერში მოთავსებულია მოწინავე წერილი: „ომი ბოლომდის".

გაზეთი იწყებს იქიდან, რომ ასკვიტი და ბრიანი ლაპარაკობდენ პარლამენტში პოლიტიკურ მდგომარეობასა და ომზე. ასკვიტს უხდება აქ თავის დაცვა ზოგ ბრალდებების გამო, ხოლო ბრიანი ალომჩნდა ახალ პალატის წინაშე და ცდილობდა, პარლამენტს ნდობა გამოეცხადებია და დაედასტურებია მომავალი სამუშაო პროგრამა.

პირველი ლაპარაკობდა, როგორც ვექილი, ხოლო მეორე როგორც გენერალი, რომელიც ამხნევებს თავის ჯარს, მაგრამ ორივეს ერთად ერთი ულოვნათ სწამდათ საქმის გამარჯვებით დაბოლოვება. ერთი წლის წინათ მათი სიტყვების კილო სხვაგვარი იყო, ახლა აღარ არის ძველი რწმენა; შეთანხმების სახელმწიფოთა გამარჯვებაში წინეთ ეჭვები არ შედიოდენ, ახლა კი ასე არ არის. მოხდა ბევრი ისეთი რამ, რასაც არ მოელოდენ არც პარიზში და არც ლონდონში. მიუხედავათ ამისა, დათმობაზე ლაპარაკიც ა არ ისმის. ინგლისის და საფრანგეთის ხელმძღვანელი წრეები არა ნაკლებ ფიქრობენ გაუმაგრდენ მტერს, ვიდრე ბეტმან-გოლვეგი.

ასკვიტი და ბრიანი [illegible] გამოსთქვამდენ ისეთივე [illegible] ბეტმან გოლვეგი 19 აგვისტოს მათი აზრით რუსეთის ჯარმა დაიხია, რომ მოემზადოს ახალი შეტევისათვის, ხოლო გერმანიის ჯარი ვერ გადაბიჯებს იმ ხაზს, რომელიც რამდენიმე თვის წინეთ დაიკავა საფრანგეთში კი ერთი წელია გერმანიის ჯარი წინ ვერ მიდის, ხოლო ზოგან პოზიციები დასტოვეს კიდეც. მართლია დარდანელის ოპერაცია გამარჯვებით არ დაგვირგვინდა, მაგრამ სამაგიეროთ მოკავშირეებმა დაამარცხეს ოსმალეთის ჯარები და მით რამდენიმეთ გაუადვილეს საქმე კავკასიისა და მესოპოტამიაში. რაც შეეხება გერმანელ-ბულგარეთის ჯარების წინსვლას ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე, მოკავშირეთ არ შეუძლიათ დაფარონ უკმაყოფილება, მარა ამავე დროს ლაპარაკობენ სხვადასხვა კონტრ-საშუალებებზე და ფიქრობენ, თუ სერბიას ვერ გამოიხსნიან, სამაგიეროთ მაინც გადაუხადონ გერმანიას. როგორც არ უნდა იანგარიშონ გერმანიაში და სთქვან, რომ ბრიან ასკვიტის მიერ გაშუქებული ფაქტები ცალმხრივი და უსაფუძლოა, ჩვენ მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ საფრანგეთ ინგლისი თავს დამარცხებულათ არ სცნობენ და ახლო მომავალში ზავზე ლაპარაკი საჭიროთ არ მიაჩნიათ. ეს კიდევ ცოტაა: ისინი ფიქრობენ გამარჯვებას. ეხლა იბადება კითხვა, რა გზას უნდა დავადგეთ, რომ ლონდონი და პარიზი ზავზე დავითანხმოთ? ზავი—თვით შედარებითი წარმოდგენაა და სახელმწიფო მოღვაწეთ მისი სახით უნდა ესმოდეთ რაღაც გარკვეული და სწორი საქმე. როცა ასკვიტი ლაპარაკობს გამარჯვებაზე, მას აქვს „საერთო უმაღლესი მიზანი". მარა ვიკითხოთ, რას შეიცავს ეს „უმაღლესი მიზანი"? გერმანიის დამხობა და განაწილება თუ ბელგიის ეკონომიური და პოლიტიკური აღდგენა და საფრანგეთის რესპუბლიკის დაპყრობილ ადგილების განთავისუფლება? არც ბრიანი გამოსთქვამს თავის აზრს გარკვეულათ, როცა აცხადებს, რომ ზავის კითვა დადგება მაშინ, როცა გამარჯვებით აღადგენთ უფლებას და შექმნება მისთვის ხელსაყრელი პირობებიო. კითხვა ისმება, როდის აღადგენენ უფლებას და რას ნიშნავს ეს ზავის კარგი პირობების გარანტია? უნდა ვეფიქრა, რომ 15 თვის საშინელი ომის, სისხლის ღვრის, განადგურების და დარბევის შემდეგ, სახელმწიფო მოღვაწენი მონახავდენ უფრო გარკვეულ პასუხს ამ კითხვაზე და ეტყოდენ ხალხს, რაში მდგომარეობს ეს მიზანი, რომლისთვისაც დაუსრულებლათ იბრძვიან და ცეცხლს და განადგურებას აძლევენ ხალხის ოფლით მონაგარს და მრავალ საუკუნოების ნაშრომ ნადავს. მარა ყველაფერი იმალება ამ სიტყვების უკან: „სამშობლოს დაცვა, თავისუფლება, უფლება, კულტურა." სულ სიტყვები და სიტყვები... ნამდვილათ კი ორივე მოწინააღმდეგე მხარეს ეშინია უთხრას ერთმანეთს თავისი ნამდვილი გეგმა. არა მარტო ინგლისი და საფრანგეთი მალავს თავის სამხედრო პლანებს, არამედ თვით გერმანიის მთავრობაც ამასვე სჩადის.

ომი გრძელდება, ვინაიდან ორივე მხარე უფრთხის თავის მოთხოვნილებათა გამოაშკარავებას, ამას სისუსტეთ ჩათვლიანო. ასეთ პირობებში საქმეს შეიძლება იმით დამთავრდეს, რომ ომი ყველას დაქანცვას გამოიწვევს. დასასრულ „ფორვერტსი" გადაჭრით მოითხოვს, რომ ორივე მხარემ გარკვევით გამოსთქვას, რა სურთ მათ, და თუ ეს არ შეუძლია, დეე, ხალხს მიეცეს უფლება საჯაროთ იკამათოს ზავის პირობებზე. „თ. აზ."

# დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

## დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 10 ნოემბერი. დღის ოფიციალური ცნობა. დღის განმავლობაში ცვლილება არ მომხდარა. 9 ნოემბერს ჩვენმა მფრინავებმა უკან დაბრუნების დროს იძულებული გახადეს მტრის ორი მფრინავი ძირს ჩამოშვებულიყო. დანარჩენები გაბრუნდენ. შამპანში არგონის ტყის წვრიმალოში საჰაერო ბრძოლა მოხდა, რომლის დროსაც მტრის 3 მფრინავი [illegible] ზღვუჩდა და ძირს ჩამოვარდა, ხოლო მეხუთე, ძირს დაეშვა თუ არა, დაიწვა.

## სამხრეთის ასპარეზი.

**ცეტინიე.** 9 ნოემბერი. მტერი უნაყოფოთ შეეცადა 8 ნოემბერს იერიშების მოტანას ჩვენი სანჯაყის ჯარის წინააღმდეგ, რომლისთვისაც უნდოდა ხელი შეეშალა ახალ პოზიციებზე გადასვლის დროს. დანარჩენ ფრონტზე საარტილერიო სროლაა.

**რომი.** 10 ნოემბერი. მთავარ ბინის ცნობა. 9 ნოემბერს ტეროლე-ტრანტინისა და კარნის ფრონტის სხვადასხვა პუნქტზე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. მტერი საარტილერიო სროლას განაგრძობდა კომელიკოს ჰალაში დ. დოსოლედოს გასანადგურებლათ, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ ჩააჩუმა. იზონცოს ფრონტზე გუშინ გაცხარებული ბრძოლა იყო პევმის მთის ფერდობებს შუა ოსლავიასთან და მაღლობ 188.—თან; მტერმა თავგანწირული კონტრიერიში მოიტანა დაკარგულ პოზიციების დასაბრუნებლათ. კონტრიერიშს გრიგალისებური ცეცხლი მოჰყვა, განსაკუთრებით ოსლავიას ჩრდილოეთით მდებარე მაღლობებზე. მტერმა რამდენჯერმე შესძლო ჩვენი გარღვევა და ჩვენ მიერ დაკავებულ ხაზებამდი მიღწევა, მაგრამ ყოველთვის შტიკით შეტევის შემდეგ დიდი ზარალით უკუვაქციეთ. ამასთანავე ტყვეთ წამოვიყვანეთ 89 კაცი, მათ რიცხვში 4 აფიცერი. კარსოსთან ჩვენმა ჯარმა ღამით ოთხჯერ ზედიზედ მოიგერა კონტრიერიში, აისს თვით გადავიდა იერიშზე და მოიპოვა ახალი წარმატება ტეუს წვერსა და სანტომიკელეს მთის შუა. სანმარტინოში ჩვენ იერიშით ავიღეთ ტრინჩერონის ფრონტი, წამოვიყვანეთ 202 ტყვე, მათ რიცხვში 4 აფიცერი; წავართვით 1 ზარბაზანი, 2 ტყვიის მტყორცნელი, ყუმბარების მტყორცნელი, თოფები და ტყვი-აწამალი.

**პარიზი** 10 ნოემბერი. დღის ოფიციალური ცნობა. მთელი ფრონტის სიგრძე-

---

— მამა, არაფერი მესმის, გთხოვ გამაგებიო, რაშია საქმე?

— თითქოს არ იცი... როგორ მოუქეცი შენ შენს მასწავლებელს?

— მე ჩავიდინე, მამაჩემო, ის რასაც ჩემი ზნეობრივი მოვალეობა მიკარნახებდა.

— შენი მოვალეობა ნუ თუ მასწავლებლის პიროვნების შეურაცხყოფას გიკარნახებდა?

— სწორედ!

— როგორ? შენ გსურდა შეგებღალა ისეთი ადამიანის პიროვნება, რომელიც შენ გდის და კეთილ გზაზე გაყენებს?

— გთხოვ, მამაჩემო, მომისმინო და შემდეგ გამსაჯო, თუ ვარ მე ღირსი ასეთი გაკიცხვის და დატუქსვისა! მე, მამაჩემო, მუდამ თქვენი მორჩილი და პატივისმცემელი ვიყავი და ვარ დღესაც.

მაგრამ როგორც უსამართლობა საზღვარს გადასცილდა, გულის სიღრმეში ვეღარ დავტიე ნაღველი და თავმოყვარეობის ცეცხლით აღგზნებულმა სამართლიანობამ იფეთქა...

ჩვენ დაგვამცირეს, მამაჩემო, პირუტყვებათ დაგვსახეს, ცოცხალ ლეშად გვაქციეს, და ეს დამცირება, ასეთი შეურაცხყოფა ჩვენ ვერ ავიტანეთ და ჩვენი პიროვნების შემლახველს პასუხი მოვსთხოვეთ, მაგრამ უფრო სიმართლე იქნება გითხრა, რომ პასუხი მე მოვთხოვე, რადგანაც მე ეს ჩემმა ამხანაგებმა მომანდვეს, რომლების გადაწყვეტილებას მე ვერ უარვყოფდი, ფეხს არ დავადგამდი... მე თქვენ მიყვარხართ ჩემო მშობლებო, მიყვარხართ უზომოთ, მაგრამ მიყვარს ჩემი ამხანაგებიც, რომლეთანაც მე გამიტარებია ჩემი სიყმაწვილის საუკეთესო დღენი...

— და რომელნიც შენ სამარეს გითხრიან, არა?

— არა, მამაჩემო, ეგ ცილისწამება იქნება და უსაბუთო დადადი...

— შენ ბევრი მოგეხსენება! დაუყვირა მამამ და ქუდს ხელი წამოავლო.

— დროა წასვლისა! მივალ და ისევ უფროსებს ჩაუვარდები მუხლებში... იქნება აპატიონ... თორემ ამისთანა გიჟს რა უნდა ველაპარაკო.

ამ სიტყვებით ზალიკო ოთახიდან გამოვარდა და აჩქარებულის ნაბიჯით გიმნაზიისკენ გასწია. მას უკან გამოუდგენ თვალცრემლიანი ნინო და ელენე.

შინ მარტო რეზიკო დარჩა. ფანჯარასთან მივიდა და მიმავალ დედმამას ნაღვლიანათ თვალი გააყოლა:

— „რა არის კაცი, თუ მარად ჟამს მონა იქნება, მონა ცბიერი, მონა მხდალი და მატყუარა, მონა დიდ-კაცის, მონა ფულის, მონა ვნებათა, დღე და ღამ ჩოქით მოარული ჯერ არს თუ არა!"

ბრაზმორეულის ხმით წამოიძახა რეზიკომ ერთი ქართველი მწერლის სიტყვები და მწარე ფიქრებში გართული მოჭრილი ხესავით ლოგინზე მიეგდო.

ცოტა ხნის შემდეგ მოისმა ყრუ და გულის გამგმირავი ქვითინი.

რეზო გულ ამოსკვნით ტიროდა. რა ატირებდა? გაცრუებული იმედი, დაკარგული სიყვარული, თუ დედმამის მიერ თავის დამცირება?

არავინ იცის.

ის კი მალე გამოირკვა, რომ გიმნაზიაში პედაგოგიურმა საბჭომ მამის თხოვნისამებრ პატიება გადაუწყვიტა და შვილის მწარე ცრემლებს დედმამის სიხარულის ცრემლები მიემატა....

**მ. ანაშვილი.**

ზე ხშირი ნისლის გამო, რომელიც საარტილერიო მოქმედებას ხელს უშლიდა, დღემ წყნარათ გაიარა. ჩვენმა არტილერიამ მალე ჩააჩუმა მტრის ბატარეია, რომელიც ცდილობდა ჩვენი თხრილების განადგურებას რამკლეკურის რაიონში და პოზიციების განადგურებას ენსა და არგონებს შუა და აგრეთვე ლეპრეტის ტყის რაიონში. არგონებში ლაგუეტის ჩრდილოეთით და მალანკურის ტყეში ნაღმების აფეთქება მოხდა. ბალკანეთის ექსპედიცია. 6—7 ნოემბერს მომხდარ ბრძოლის შემდეგ შეტაკება არ ყოფილა მდ. ცრნის მარცხენა ნაპირზე და სტრუმიცის სექტორში.

**ჰავრი.** 10 ნოემბერი. ბელგიის ცნობა. მტერი არტილერიას სუსტად ამოქმედებდა. რამდენიმე ყუმბარა მოხვდა ჩვენ წინ გაწეულ პოზიციას და აგრეთვე ფრონტის სხვა პუნქტებსაც ჩვენმა არტილერიამ მრავალრიცხოვანი ჯგუფი მტრის მუშებისა გაფანტა და ენერგიულად დაუშინა ყუმბარები მტრის სიმაგრეებს.

**რომი.** 11 ნოემბერი. მთავარი ბინის ცნობა. 7—8 ნოემბერს მომხდარ ბრძოლის შესახებ 10 ნოემბრის თარიღით შემდეგი მოხსენებები ნათლად მოწმობენ ბრძოლის იმ სიმწვავეს, რომელიც ხდებოდა ოსლავიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მაღლობების ხელში ჩასაგდებათ. ამ ბრძოლების დროს გრენადერების ბრიგადა მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მოპირდაპირის მეოთხე დივიზიას, ყველა თავგანწირული კონტრ-იერიშები მტრისა მარჯვეთ მოიგერია. გუშინ ამ ფრონტზე ახალი შესამჩნევი კონტრ-იერიშები მტერს არ მოუტანია. დღემ წყნარად ჩაიარა. ჩვენი ჯარი მარჯვეთ დამკვიდრდა დაკავებულ პოზიციებზე. კალვარიის ქიმზე გორიცის დასავლეთით შეტევას განვაგრძობდით და მივაღწიეთ მთის ქიმამდი, რომელიც კიდეც შევინარჩუნეთ, მიუხედავათ მტრის არტილერიის გრიგალისებური ცეცხლისა. კარსოსთან ბრძოლა კვლავ განახლდა, სადაც იერიშით ავიღეთ ძლიერი სიმაგრე წმ. მარტინას ეკლესიასთან. საერთოდ ამ დღეებში მომხდარ ბრძოლების დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ 93 ჯარის კაცი, მათ რიცხვში 7 ოფიცერი [illegible]

## ქალის კულტი საქართველოში

([illegible] ი. გურკასი, არტისტიულ საზ. საკონ-[illegible])

...ლიტერატურის ისტორიკოსები საზოგადოდ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმ საოცარს ფაქტს, თუ რამდენ ზერელედ და ხშირად ყალბი სახით ასწერენ მშვენიერ კავკასიას, წარსულ საუკუნის რუსეთის გამოჩენილი მწერლებიც კი. ერთის შეხედვით ისე მოსჩანს, თითქოს ამის საბაბი მათ არა ჰქონიათ. პუშკინსა, ლერმონტოვსა, პოლონსკისა და სხვა მწერლებსაც არა ერთხელ გაუვლიათ კავკასიაში, ბევრს მათგანს უცხოვრია კიდეც. აქაურს ჰაერს და დიად ბუნებას ღრმა შთაბეჭდილება დაუტოვებია მათზე, რაიც მთელს სიცოცხლეში სანუკვარ ხსოვნად დარჩენიათ. პუშკინის „ჩერქეზული პოემები“ ანუ ლერმონტოვისა და ლევ ტოლსტოის კავკასიური მოთხრობები განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდენ, როგორც მთიელთა ცხოვრებიდან ამოგლეჯილი თვალ-წარმტაცი სურათები. ამის და მიუხედავად რა წამს ჩამოვშორდებით თოვლიან მწვერვალებს და დაბლა ღელეებში შორს დავტოვებთ ღრუბლებით მოზურულს ყაზბეგს და „ალმასივით მოციმციმე“ მის მწვერვალს, ჩვენ წინ იშლება ახალი ზურმუხტის ველი, სადაც მიმოჰქრიან ფეხმალი მერნებით ჰაჯიაბრეკები, გუდალები, იზმაილბეგები და სხვა გმირები, რომელნიც მხოლოდ სისხლსა და ხმალ-კაპარჭზე ოცნებობენ.

ჩვენი მწერლების ალღო აქ იმდენად ყალბს ნიადაგზე სდგას, რომ ფეხის გადადგმაზე განსაკუთრებულ შეცდომაში შეჰყავთ გულუბრყვილო მკითხველი. იმ დროს, როდესაც მთიელნი გატაცებულნი იყვნენ რელიგიური ძიებით, ჩვენი მწერლები მათ სისხლზე და ყაჩაღობაზე ალაპარაკებდნენ თავიანთ გმირებს. პუშკინი, მაგალითად, ასე აგვიწერს მათს ცხოვრებას:

„აულში კარის ზღრუბლის წინა
ჩერქეზნი სხედან უდარდელადა,
შვილნი ლამაზი კავკასიისა
გაიხსენებენ ძველ-ს ძველ ამბებს,
აქებენ მერანთ მოკაზმულობას,
რბევის დროს მკვირცხლად ტორების ცემას,
თარეშით განცდილ სიამის წუთებს
და გამქრალ დღეთა ტკბილ სახსოვარსა...“

რამდენიმე წლის შემდეგ ეს „უდარდელი ჩერქეზები“ იმდენს ახერხებენ, რომ საკუთარ სამეფოს აარსებენ, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ღირსეულად და ძლევამოსილი ებრძოდა რუსეთს. ეს დიადი ფაქტი, წარმოიდგინეთ, შეუმჩნეველი რჩება მეორე გენიოს მგოსანს ლერმონტოვს, რომელიც მოწმე გახდა ამ საოცარი ბრძოლისა, რომელშიც თვითონაც იღებდა მონაწილეობას. მიუხედავათ ამისა, იგი ჩერქეზებს ახასიათებს კვლავ ძველი ნაცადი ფერადებით, იმავე უდარდელებად, თარეშობისა და მხოლოდ სისხლის წყურვილით გატაცებულ ხალხად. ასე მაგალითად, მისი ჰაჯი აბრეკი ერთი ხმლის დაკვრით თავს გააგდებინებს მშვენიერს ლეილას. და რამდენია ასეთი სურათები იმავე ლერმონტოვის ნაწერებში, თუ ოზხივარ ადენილი ხანჯალი როგორ სისხლში ელვარებს გულ გაპობილ ქალის მკერდზე!

წარმოვიდგინოთ ერთი წუთით ტრაღიკული მდგომარეობა იმ ისტორიკოსისა, რომელსაც წილად ჰხვდება ასწეროს კავკასიის ომები ლერმონტოვის პოემების მიხედვით. წარმოვიდგინოთ, რომ მას ამ პოემების იქით სხვა საშუალება აღარა მოეპოვება რა სინამდვილის აღსადგენად, ცხოვრება ჩამკვდარა, სხვარაიმე ძეგლი და საბუთი არ მოიპოვება. მაშინ ისტორიკოსი იგი ისეთ კარიკატურულ სახით აგვიწერდა „გაზავატებს“ ანუ სამღვთო ომებს, რომ სულ ერთიანად დაუკარგავდა კავკასიის ხალხს სულიერ ცხოვრების იერს. აი, რა სიკეთეს შესძლებდა ჩვენს ისტორიკოსს ლერმონტოვის ზერელე სახით დახატული ტიპები, აი რა სიყალბეზე აადგენდა სრულიად უცხო, მაგრამ ფრიად საინტერესო ხალხის ცხოვრებას.

ასეთივე სიბეცე და ეროვნულ პსიხოლოგიის გაუგებრობა გამოიჩინეს ჩვენმა მწერლებმა [illegible] აქ ჩვენი მწერლები სამშობლო ბუნებასთან შედარებით სრულიად წინააღმდეგ სურათებს ჰხედავდნენ. ამიტომაც საქართველო ჩვენი მგოსნების წარმოდგენაში დახატა უბედნიერეს ქვეყანად, სადაც [illegible] აზიდულ ჭანდრებისა, ვერცხლის ნაკადულებს საამური ჩხრიალი გაჰქვთ და ბულბულებიც არ სწყვეტენ საამურს სტვენას. ქალთა სიტურფე ხომ გააგიჟებს ადამიანს.

საქართველო ჯერაც არ გამორკვეულიყო იმ შემაძრწუნებელ გაბრუებიდან, რომელშიაც ჩავარდა აღამაჰმადხანის შემოსევით, და აი. ამ ქართველთა შესახებ ლერმონტოვი გვიხატავს ისეთს სურათს, რასაც თაობიდან-თაობამდე იზეპირებს ჩვენი ახალგაზრდობა. მე მოგახსენებთ მის „დავის“ შესახებ.

„შეხედე,—ეუბნება მყინვარი იალბუზს—ჰადრის ჩრდილ ქვეშ ქართველს, როგორ სთვლემს და ცანცარით აქაფებული ღვინო როგორ ექცევა შარვალზეო“.

მაგრამ რომ ჩვენს პოეტს სელჯუკთა თავდასხმა და თარეშობა საქართველოს ასაოხრებლად ერთგვარს აღფრთოვანებას ჰგვრიდა, ეს არავისთვის არ არის დაფარული. მას ფრიად მოსწონდა ცამდე ატყორცნილი „ნანგრევთა სვეტები“.

ჩვენი მგოსნების სიბეცე იქამდი მიდიოდა, რომ ქართველთა პსიხოლოგიის ძირითადი თვისებანიც კი შეუმჩნეველი რჩებოდათ. ჩვენ შეგვიძლიან მრავალი ნაკლულევანება ვუკიჟინოთ ქართველთ, მაგრამ ერთს მათს ღირსებას ვერავინ უარჰყოფს, ეს გახლავთ მათი **ხიმამაცე**. თვით ქართველთა არსებობა, როგორც დამოკიდებული ხალხისა, რომელმაც სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეინარჩუნა სპარსთა და აუარებელ მტერთა შემოსევის ქარტეხილებში, თამამად ჰლაღადებს მათს გმირობას და რაინდობას.

ახლა გადავხედოთ ჩვენს რუს მწერალს! მხოლოდ ორიოდე სტრიქონი უძღვნა ქართველთა დახასიათებას და ისიც სინამდვილესთან ისე შორსა სდგას, როგორც ცა და დედამიწა.

„აღარ გაგძლედა ბრძოლა ფიცხელი, უგზოდ გარბოდნენ მხდალნი ქართველნი!“ ასე გულგრილად აგვიწერს ლერმონტოვი ყაჩაღთა ბრბოს შეტაკებას ახალგაზრდა თავადთან და ოდნავაც ვერ ამჩნევს, თუ რა შეუსაბამოდ ახასიათებს მხლებელ ქართველებს.

პუშკინიც კი, ეს უჭკვიანესი და გამჭრიახი ადამიანი, თბილისის აღწერილობის შემდეგ ასე გვიხასიათებს ქართველს:

„ქართველები მეომარი ხალხია... მათი გონებრივი ნიჭი მალე ითვისებს განათლებას. მეტად მხიარულნი არიან უყვართ ერთად თავის მოყრა, დროს გატარება, ქეიფი და შემდეგ ერთად ქუჩა-ქუჩა სეირნობა. შავთვალა ბიჭები მღერიან, ხტუნაობენ, კოტრიალობენ. ქალები ლეკურს უვლიან...“

როდესაც ამ სტრიქონებს კითხულობთ, უნებლიედ წარმოუდგებათ სურათი, რაღაც ნახევრად გაველურებულ ხალხის ცხოვრებიდან, გგონიათ პაპუასებთან და ბუშმენებთან გვაქვს საქმე და არა ქართველებთან, რომელთაც უკანასკნელი 16 საუკუნის კულტურა აქვთ, საკუთარი ტაძრების განსაკუთრებული ხუროთმოძღვრება და გენიოსი პოეტები!

ასეთი წარმოდგენა საქართველოსი თითქმის თვითეულ რუსის თავშია. გეტყვიან იმას, რაც როდისღაც რაღაც ვიღასგანაც გაუგონიათ. ჩურჩხელები, მკვლელობა, კახური ღვინო, ლეკური,—აი ის ფერადები, რომელთაც ასურათებენ ყველა კავკასიელს. არ მსურს, რომ ვინმემ ეს სიტყვები ბრალდებად ჩამითვალოს. მე დავასახელებ რუსეთის დღევანდელ ცნობილ მწერლებს, თუნდა კუპრინს, რომელმაც ასე დაგვიხატა ქართველი სტუდენტი ნიჟარაძე, „ჟურნულში“. თქვენს გაოცებას საზღვარი არა აქვს ამ სულელურ აღწერილობის გამო, მაგრამ ეს კი ასეა, ფაქტი, როგორც კუპრინის მიერ დახატული სურათი! სამშობლოდ თავადი მშობლებისგან მიიღებს მთელ კალათა ძღვენს, აქ ნახავთ შემწვარ ბატების ხორცს, ყურძენს, ჩურჩხელებს, ბადრიჯანს, აგრეთვე ტიკით ღვინოს. თავადი გაჰმართავს ვახშამს, ქეიფის დროს [illegible] „ღვაძლ დღახიძეს“ (კუპრინის ორთოგრაფია გახლავთ ეს), დაუღალავად ლეკურს უვლიან და წარამარად ველურად აჭყრიალებენ დანებს. ამის გარდა ნიჟარაძე 300 ჯერ წარმოსთქვა სიტყვა და [illegible] ამტკიცებდა, რომ რუსთაველი [illegible] სდგას შექსპირზე და რომ მთელი ქვეყნის [illegible] მაზე თვალები რჩებათ და სხვა და სხვა.

კუპრინი მარტო ერთი არ არის ჩვენს მწერლობაში. მეორე თვალსაჩინო მწერალი არციბაშევი აგვიწერს თავად დომბელიანს (მოთხრობა „შური“), რომელიც ბევრით არაფრით აღემატება კუპრინის სახელოვან გმირს.

ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ეხლა ცხადია, თუ საიდან წარმოსდგა ასეთი თავისებური იდეოლოგია ჩვენს რუსის მწერლებში. პუშკინიც და ლერმონტოვიც მთელ ხალხს და რამოდენადმე თვით ქართველობასაც ევროპიულ რომანტიზმის სათვალით უყურებდნენ და მიტომაც მათი დარიელები, იზმაილები თუ სხვა გმირები, პირწმინდად ფანტასტიური ტიპები არიან, რომელთაც ბაირონიზმის ბეჭედი აზისთ. ბაირონი პირვანდელ ხასიათის ველურ ბუნებოვან ტიპების შესაქმნელად თავგადაკლული იბრძოდა ხან საბერძნეთისკენ, ხან ალპის მთებისკენ. თვალს ადევნებდა ყაჩაღთა ველურ ცეკვა-თამაშს და სიმღერებსა. რუსის მწერლებიც სრულიად მოულოდნელად დარწმუნდნენ, რომ რომანტიულ მასალების მოსაკრებად არც კი სჭიროდათ სამშობლოს საზღვრებს გასცილებოდნენ. მთელ ხალხს და ქართველებს ისე უყურებდნენ, როგორც ხელუხლებელ სალიტერატურო მასალას, ისევე ძვირფას და პირვანდელ მდგომარეობაში მყოფს, როგორც თვით კავკასიის დიადი მადნეულობა გახლავთ, რუს მწერლებს ეოცებოდათ კავკასიის მაღალი მწვერვალნი, აღელვებდათ კლდოვან ფერდობები, რაიც რომანტიულ ლიტერატურის საუკეთესო სადგამს შეადგენს. მათ ეს აინტერესებდათ და ამის იქით არ დაგიდევდნენ, თუ ხალხი რას ჰგრძნობდა, რას განიცდიდა.

ამ გულგრილობის მიზეზი კიდევ სხვა რამეც გახლდათ. რომ მთის ბინადარნიც და ქართველობაც რაც უნდა იყოს, აღმოსავლეთის შვილთ ეკუთვნიან. ეს კი საკმარისია, რომ ერთგვარი ბოდიშით მოვიპყრათ ამ ყალბსა და ხშირად ათვალწუნებულ შეხედულობას, დასავლეთ კულტურას ზიარებულ განათლებულ რუსულ საზოგადოების მხრივ.

(შემდეგი იქნება)

(ს.) ვ. გურკა.

## პასუხი.

### ქ-ნ მარიამ სალუქვაძეს.

ბატონო მარიამ! დღეს სამკითხველოს სასარგებლოთ, მართალია, დღეს 18 ოქტომბერს, ჩამოსვლა დავპირდით, მაგრამ, რადგანაც განზრახვა ჩამეშალა, მე წინდაწინვე 16 ოქტ. ვაცნობე თქვენგან დასახელებულს ბ. შარაშიძეს, რომ 18-ს მე დღეს არ ვიქნებოდი და თან ჩემის დანაშაულის გამოსასყიდლათ მცირე წვლილი 20 მან. სამკითხველოს სასარგებლოთ გადავეცი. ბ. შარაშიძე ჩემ ბოდიშს არ დასჯერდა და მეორე დღეს ჩემი შემოწირული ფული უკანვე დამიბრუნა და ეხლა კი თქვენ მთხოვთ გაზეთით გაცნობოთ მიზეზი ჩემის ჩამოუსვლელობისა. მე ვფიქრობ, რომ ჩემს ჩამოუსვლელობას მარტო თქვენთვის შეეძლია იქონიოს ინტერესი და რაკი თქვენამდი ჩემმა პასუხმა უკვე მოაღწია, მე არ ვზოვებ საჭიროდ ეს მიზეზი საჯაროდ იქნას გამოცხადებული გაზეთის საშუალებით. კიდევ ვიხდი ბოდიშს, იმ ავათმყოფების წინაშე, რომელნიც მე 18-ს დღესამი მიმელოდენ,—რომ ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო ჩემი დაპირება ვერ შევასრულე.

მიიღეთ ჩემი პატივის ცემა

ექიმი **გრ. ალშიბაია.**

9 ნოემბერი.

## გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულ [illegible] ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur des Kriegsgefangenenlagers
აქ [illegible] ადრესი.
Liebesgaben für bie russischen Kriegsgefangenen
აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
Deutschland

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48,
А. А. Вахерахтъ

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное.
suisse. Recommanbée
Comité International de la Rouge.
Agence des prisonniers de guerre Génève.

## მატარებლების მიმოსვლა.

### ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 5 ს. 50 წ. |
| „ | — ღამის | — 11 ს. 30 წ. |
| ბათომიდან | — დილის | — 10 ს. 5 წ. |
| „ | — ღამის | — 2 ს. 23 წ. |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. 30 წ. |
| ტყიბულიდან | — დილის | — 9 ს. 38 წ. |
| „ | — საღამოს | — 7 ს. 39 წ. |

### ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 7 ს. 55 წ. |
| „ | — ღამის | [illegible] წ. |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 10 ს. — |
| „ | — დილის | — 4 ს. 27 წ. |
| ფოთისკენ | — ნაშუადღ. | — 4 ს. 14 წ. |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 6 ს. 40 წ. |
| „ | — ნაშუადღ. | — 4 ს. 20 წ. |

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე

ქუთაისის განყოფილება ამხ.-ბა „პროვოდნიკი“.

გვაქვს საწყობში გასასყიდათ დამზადებული დიდძალი

კალოშები.

საზაფხულო და საზამთრო ყველა არტიკულისა სრულის ამორჩევით.

საეტლო შინები

საერთაშორისო მარკები „სლონ“ და „სვერხ-სლონ“ და აგრეთვე სხვადასხვა საქონილი საკუთარი ნაწარმოებისა.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.

რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.

თვ. პატივისცემით ლ. მ. ბახტაძე.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია

ალექსანდრე ი. კოსტავასი

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსახურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეთული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში**, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.